



წელიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალ წლით 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. სან. კანტორაში და იხსება იმედაშვილთან (**„სოროპანი“-ს** სტამბაში). მისამართი: **თიფლისი, რედ. „Театრი და Цховრება“ Ioc. იმედაშვილი.**

№ 8

ხელ-მოწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მილაპარაკება შეიძლება შუადღის 10—2 ს. და საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 15-41.

№ 8

კ ვ ი რ ა , 27 ა პ რ ი ლ ი

1914 წ.

27 აპრილი

**დროა დაიწყო.**

უკვე დაიწყო ჩვენთა ძმთა—ქართველ მაჰმადიანთა—გამოფხიზლება. თუ ისტორიულ ჩარ-

ხის უკუღმართმა ტრილიმა სამშობლო ქვეყანას დიდი ნაწილი ჩამოაცალა და სარწმუნოებით ისლამს შეუერთა, გეარტომობით მაინც ვერ შესცვალა და დღეს მათ შორის დაიბადა კითხვა: ვინ ვაჟუთი, ვინა ვართ და ვინ უნდა ვიყოთ?

სამშობლო ენაზე სწავლა-განათლება, როგონულ ნიადაგზე მოქალაქეობრივ-კულტურული წინსვლა,—იი რას მოითხოვენ დღეს ჩვენი ძმანი—ქართველ-მაჰმადიანნი.

ამ მიზნით მათ შორის თვისი წვლილი შეიტანეს ჩვენმა შვიგნობარ-მოღვაწეთ (წ. კ. ს., გ. წერეთელი, ზ. ჭიჭინაძემ, ი. კერესელიძემ, ჰზირამ და სხ.) მაგრამ ეს წვეთია ზღვაში.

დადგა დრო, როდესაც ქართველ მსახიობის ხმაც უნდა განისმას ქართველ მაჰმადიანთა შორის: სცენიდან მშობლიურ ჰანგების მოსმენა, სამშობლო ენით ამეტყველება, ეროვნულ გრძნობათა გაღვივება,—იი რა ესაჭიროება დღეს უკუღმართ გარემოებათა გამო გადაგვარების გზაზე შემდგარო...

სკოლამ, მწიგნობრობამ და ქართულმა სცენამ ხელიხელს უნდა ჩაჰკიდოს და დაიწყოს საღმრწენებელი მოღვაწეობა...

დრო არ გვიცდის. საჭიროა შესდგეს რიგინი დასი და ვაემგზავროს მაჰმადიან ქართველებში წარმოდგენების განხორციელებად. ასეთის მოგზაურობით შეიძლება სტამბოლს უწიოს და იქაურ ქართველთაც მოასმენინოს სცენიდან მშობლიური ხმა...

რადა თქმა უნდა, რეპერტუარი შესაფერი

უნდა შეირჩეს,—ჩვენი ისტორიული პიესები, სადაც განსაკუთრებით სარწმუნოებრივ ნიადაგზე სწარმოებს ბრძოლა,—არ გამოდგება...

ისეთი რეპერტუარი უნდა შესდგეს, რომელიც არ შევლახავს ჩვენთა ძმთა სარწმუნოებრივ გრძნობა-ადათებს და ეცდება, გაუძლიეროს სამშობლოსადმი სიყვარული, უმაღლესი საეროვნო-სამოქალაქო მისწრაფებანი ჩაუნერგოს, გაათავიტუნობიეროს...

ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, როგორც ჰან წლის წინად შემდგარმა სამუდამო დასმა ერთის ჩავლით ღრმა ძილიდან გამოაფხიზლა მძინარე საზოგადოება, ისევე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს ქართველ მაჰმადიანებზე ჰამშობლო სცენა...

ამ მიზნით შემდგარ „მოგზაურ დასს“ ნიეთიერი დახმარება ესაჭიროება ყველა იმ დაწესებულებათაგან, რომელთაც მართლა და გული შესტკევათ სამშობლო ქვეყნიდან უნებლიედ მოწყვეტილ ძმთათვის... და ეს ასეც იქნება, მხოლოდ თაოსნობა, თავამოდება საჭირო...

საქმეს ხელი მოეკიდეთ და ძნელი არაფერია...

ქართველო მსახიობო, იი დღეს უნდა მოწოდება სამშობლოს წინაშე!.. ნუ ხარ შებოროკილი და მოქმედების ასპარეზი გაიფართოვე!..


ამითი შენს სახელს ახალი შარავანდელით შეჰმოსავ, ქვეყანას სამსახურს გაუწევ და სამშობლოს წინაშეც ვალ-მოხილი იქნები...

საქმეს დაყოფენება აღარ უნდა!..



მსახიობი ი. ივანიძე აკაკის შესახებ სწორს („ს. გ.“ № 1164): „საზოგადოებას თქვენმა გაცემთა შემდეგი აუწყა: აკაკის ფონდი უკვე მოისპო—ფული

გამოილიაო. ვინაიდან ამ სახელოვან მგოსნის სახელო-  
ბის ფონდს ფრიალ დიდი მნიშვნელობა აქვს, ამის გა-  
მო რედაქციას ვუგზავნი ჩემ მიერ მცირე, მაგრამ გულ-  
წრფელ წვლილს და დარწმუნებული ვარ, ყველანი გა-  
ნურჩეველად მიმართულებიან, შეეცდებიან შეაფასონ იგი“.



# რ კ ა ლ ე ბ ი

ინერციული ყოფა.

თვალწინ მიდგას ჩემი საშობლოს წარ-  
მტავი ბუნების მხობლავი სახე და მის წიაღში  
დანავარდობს ჩემი ოცნება.

ვიღებ ხელში ჩვენი დღეის მწერალთა და  
პოეტთა შემოქმედებას და სიამით ვკაყოფილ-  
დები: ვრწმუნდები, რომ ამ ქმნილებაში ლა-  
მაზი და სრული სარკე ჰპოვა ჩვენი ქვეყნის  
მარგალიტებმა, რომ ეს შემოქმედება აღსავსეა  
ჩვენი ბუნების ცოცხალ მოძრაობით.

ყოველ საგანი ჩვენი ბუნებისა აშკარად  
მეტყველებს, ვით ცოცხალი არსება და მის  
რითმიულ მოძრაობაში შემოქმედი ჰარმონიუ-  
ლად შლის თვის გულის ვარაშს. მთელი ჩემი  
არსება დატყვევებულია, სული ჩემი დატვირ-  
იულია ლამაზის ზურმუხტებით და მშობლიურ  
ქვეყნის სილალე სცემს.

მაგრამ გონება ჩემი მაინც ფხოზლობს და,  
დროვამოშვებით, ეძიებს უმთავრესს, რაც უნ-  
და ჩანდეს და რაც ამ შემოქმედებაში მიმ-  
ქრალა.

ლამაზის სურათებით დამთვრალ ოცნებას  
ინსტინქტით სწყურია იხილოს ბუნების გვირ-  
გვინი, დაინახოს მისი მოძრაობა და ჩასწედეს  
მის სულიერ ტრადეიას.

მე მწაღია ვიხილო ადამიანი თვის სულის  
ძახილით, მალაღის მისწრაფებით, წყურვილე-  
ბით ალტყინებული და მოძრაობით აღვისილი.

მაგრამ იგი ამ შემოქმედებაში არსადა  
სჩანს... და გული ჩემი მწუხარებას ეძლევა.

გვინდა ვიცოდეთ, რად გაურბის ჩვენი  
მწერლობა ამ ადამიანს?

მაშ ერთის წუთით ყური ათხოვეთ ხელო-  
ვანის წადილს და გაიგებთ, რომ იგი განგებ  
არ გაურბის ამ ადამიანს, რომ იგი თითქოს  
იძულებულია მას გვერდი აუაროს და მარტო-

ოდენ მისი მშობელი ბუნების სურათები გარ-  
დაგვიშალოს.

ყოველი ხელოვანი სცდილობს თვისი ფან-  
ტასტიური სახეები ობიექტიურის საგნების სა-  
შუალებით გაშალოს. მისი ინსტინქტი იწვევს  
ისეთ სიმბოლოებისაკენ, რომელნიც არსებით  
ცოცხალნი არიან და მოძრაობენ. მას სწყუ-  
რია სუბიექტიური ტრავედია ობიექტიურ აქ-  
ტიობაში გაშალოს იმიტომ, რომ ყოველი  
ქმნა მოძრაობა და სიცოცხლეა.

და აი მიხ წინ წარსდავ დღეის ადამიანი  
ენება - დამცხრალი და ნება-დამსხვრეული;  
ადამიანი არსებითად უმოქმედო და უაქტო,  
რომელსაც ახასიათებს ინერციული ყოფა და  
ხელოვანმა მას ზურგი უჩვენა.

ზარატუსტრას ენით ნიცმე დაწვრილმანე-  
ბულ ხალხს იწვევდა და ზიზღით ეტყუდა:  
„თქვენ მახინჯები ხართ და მე არ მეგულვება  
მქედელი, რომელსაც შეეძლოს თქვენი გასწო-  
რება, გამართვა. თქვენ მახინჯი სარკე ხართ,  
რომელშიაც ყოველი სიმართლე და თვით ჩე-  
მი სახეც საშინლად სახიჩრდება.“

და იგი მოუწოდებდა ზე-კაცს, მომავლის  
შვილს; დღეის მწერლობაც თითქოს მიხვდა,  
რომ უმოძრაო და უაქტო ადამიანი ვერ და-  
ტევს მის მოქმედ ფანტაზიას, ვერ ატარებს  
მის მოძრავ და ცოცხალ სახეებს; — განახლების  
წუაროც თითქოს დაშრეტილა მასში.

და იგი მიმართავს ბუნებას, რომელიც  
ატარებს საიდუმლოებას მულმივის განახლების  
სა, აქტიობისა და სიცოცხლისა.

საქართველოს ძველ მგოსანთა შემოქმე-  
დებაში კიდევ სჩანს და სცემს ადამიანის სუ-  
ლი, იგი თითქმის უმთავრესია თვისი მოძრა-  
ვის სიცოცხლით და ძლიერის ვნებით.

აქ ბუნება უბრალო ჩარჩოა, ფონი, რო-  
მელშიაც ძლიერად სცემს ადამიანის სიკო-  
ცხლე. დღეს ეს აქტიობა თითქოს მომკვდარა  
და ახალი მწერლობა მას სრულებით განწე  
სტოვებს. ასეთივე შეიქმნა თითქმის ახალი თე-  
ატრიც. თუ ოდნავ დაუკვირდებით, შეამჩნევთ,  
რომ არას დროს ასეთი დიდი ყურადღება არ  
ჰქონია მიქცეული სურათებსა და დეკორაცი-  
ებს, როგორც დღეის თეატრში.

შესაძლოა, ამის მიზეზი გემოვნების და  
ესთეტიურ აღიღოს გაწვრთნაც იყოს, მაგრამ,



დამსახურებული მსახიობა  
ვ. ა. აბაშიძე

(დაბადებიდან 60 წლის შესრულების გამო)

ცხადია, ეს მიზეზი უფრო ღრმაა და მისი შინაარსიც უფრო გასაგები გახდება ჩვენთვის, თუ აღნიშნულ მოვლენას დავაკვირდებით.

ძველად თეატრში უმთავრეს ყურადღებას იპყრობდა მსახიობთა მოქმედება და უფრო მეტად კი ერთი მათგანის, რომელიც იყო გმირი და რომლის ხასიათის რომელიმე მხარე აძლევდა მთავარ ტონს პიესის მსვლელობას. დღეს კი ასეთი პიროვნება ფანტასტიკურად მიგვიჩნია და თვით მსახიობთან ერთად მთავარ ყურადღებას ვაქცევთ პიესის მხატვრულ სახეს, მის სურათებს, კერძოდ დეკორაციებს, თითქოს ის, რაც მოქმედებაში ვერ ახსნეს და განმარტეს ავტორმა და მსახიობმა, უნდა გაიშალოს ამ სურათებში, მხატვრობაში..

დღეის თეატრი უმთავრესად ფსიხოლოგიურ მომენტების თეატრია და თვით თამაშიც მარტოდენ ფსიხოლოგიურ ანალიზის სახით ამოიწურება, მას აქტიობა აკლია.

ჩვენი ცხოვრების ძველი ურთიერთობა დაიძლია და მის ნაგრევებზე მყოფ თანამედროვეთ იჭვი და ანალიზი იპყრობს, ნებას რეფლექსია ღრღნის. აქტს ეს ანალიზი და იჭვიანობა ჰკლავს და ჩვენაც მარტოდენ ოხვრა და კენესა გვესმის.

არ არის მოქმედება, იმიტომ რომ ჯერ არ განმტკიცებულა რწმენა, რომელიც რელიგიად

უნდა იქცეს და ახალ ცხოვრებას საფუძვლად დაედოს. და თითქოს, შეშინებულნი, დროთა მსვლელობას ვაძლევთ ჩვენს თავს ვნება-მიმქრალნი.

ამ საზოგადოებრივ ინერციას სახავს დღეს ჩვენი ხელოვნებაც...

აკაკი შავაძე



## ნაწყობები

ვნახე ახლად ჯვარდაწერილნი. ხელ იხელ ჩაკიდებული მიდიოდენ და თან ერთმანერთს თვალებში უღიმოდენ. სიყვარულით აღვსილი გული თავისიცემით ტანისამოსს არხევდა და განუზომელ ნეტარების ნექტარში ჰჰანდა მთელს სხეულს.

— შენ ხომ ჩემი ხარ, მარტო ჩემი? ჩას-ჩურჩულდება ცოლი და ხელზეხელს უჭერდა.

— შენ ხომ მარტო ჩემი ბედნიერება ხარ, მარტო ჩემი ნეტარება, ჩემი სიყვარული, ჩემი სიხარული? ღიმილით ეკითხებოდა ქმარი.

თუ სადმე იყო ქვეყნად ბედნიერება, ის ამითან იყო ამ ჟამად.

თუ სადმე იყო ქვეყნად ნეტარება, ის ამით ძარღვებში სჩქეფდა.

ბედნიერები იყვენ. მე მშურდა მათი ბედნიერება...

მე შევხდი მათ რამდენიმე წლის შემდეგ საღვურზე. ქმარს ცოლი აცილებდა.

— მომეწყინება უშენოდ. ეუბნებოდა ცოლი.

— ბავშვები გაგართობენ, მეც მალე მოვალ. უპასუხებდა ქმარი.

იმათ ლაპარაკს გულის სითბო აკლდა. მატარებელი დაიძრა. ცოლი სწრაფად გამოტრიალდა. პირველი კლასის ოთახში მაგიდას მოუჯდა, ამოიღო რელიკულიდან ქაღალდი და დაიწყო აჩქარებულად ფანქარით წერა: „ჩემო სულიკო! ის გავისტუმრე. სამი დღე მოვისვენებ. ამაღამ გელი უკანა კარებიდან.

შენი კრუწნა გენაცვალა შენ.“

პირზე ღიმილით დაკოცნა წერილი, ჩასდლო კონვერტში და გაატანა შიკრიკს.

— ახლავე მიუტანე! მიამახა უკან.

ამოვიხსრე. მე აღარ მშურდა მათი ბედ-  
ნიერება. აღარც მენატრება ვისიმე სიყვარული.

მე ვნახე ცოლქმარი. ტყის პირს ერთმა-  
ნეთს მოჰხვეოდნენ და ტუჩებით ერთიმეორეს  
შეჰკანებოდნენ.

მე ვერ წარმომიდგენია ჩემი თავი უშე-  
ნოდ, ჩემო ნეტარებაზე, ჩემო სიცოცხლე! ჰბუტ-  
ბუტებდა აღერისის ტალღებში მონავარდ  
ცოლი.

— მინდა, შეგედულო, შეგეწებო, რომ  
ორივე ერთხორცი ვიყოთ, ერთს სხეულში  
შეერთებული! — ეუბნებოდა სიყვარულის აღში  
გახვეული ქმარი.

ისინი ბედნიერები იყვნენ, ციურ სიტკბოე-  
ბას განიცდიდნენ, წყაროს ნეტარებისას ეწაფე-  
ბოდნენ.

შემშურდა ამათი ბედნიერება...

მე შევხდი მას რამოდენიმე წლის შემდეგ.  
სხვა კაცს მისდევდა, ხელი მკლავში გაყრილი,  
და თვალბში შესიკრიალებდა.

ქმარს უკვე ვაპყროდა და ეს აერჩია იმის  
გულს.

ამოვიხსრე. მე აღარ მშურდა მათი ბედ-  
ნიერება. აღარც მენატრება ვისიმე სიყვარული.

მე ვნახე მიცვალბებული. როდესაც კუბო  
საფლავში ჩაუშვეს, ცოლი შიგ ჩახტა და კუ-  
ბოს დაეკონა. ძლივს ააგლიჯეს.

— რა გინდათ, გამიშვით, გევედრებით,  
ამასთან ერთად მომაყარეთ მიწა. უამისოდ სი-  
ცოცხლე არ მინდა, არ შემიძლია. ემუდარე-  
ბოდა ის ყველას. იმის თვალბში ზღვისავით  
ღრმა სევდა იხატებოდა. მე შევანატროდი კუ-  
ბოში მდებარე ქმარს: ის ხომ ასე მძლავრად  
უყვარდა ცოლს!...

შევხვდი მას რამდენიმე წლის შემდეგ  
თეატრში. მეორე ქმარს ამოსჯდომოდა გვერდ-  
ში და იმის სახეზე სრული კმაყოფილება ბედი-  
სა იხატებოდა!.

სოფლად ვიყავი. ჩემი ფანჯრის წინ კუნე-  
ლის ტოტზე ჩიტს ბუდე გაეკეთებია. დედალი  
კვერცხებს ეჯდა. მამალი თავს ევლებოდა, ნი-  
სკარტს თავზე უსვამდა. შეეღულტულებდა, უა-  
ლერისებდა — ხან შორს გავარდებოდა ისარივით

და მაღმისი შშობელი ბუნების სურათე რახანე-  
ბით ნძილოს. ს სატრ-

ფოს ჰოველი ხელოვანი სკდილობს თე:  
გური სახეები ობიექტიურის საგან ერ-  
თად ებით გაშალოს. მისი ინსტინქტ. ერთ  
დღეს იმბოლოებისაკენ, რომელნიც ო. გამო-  
ვიხედლნი არიან და მოძრაობენ. მას იდა მა-  
მალ ჩებიექტიური ტრაველია ობიექტებში და  
გაეატში გაშალოს იმიტომ, რომ  
გოდრობა და სიცოცხლეა. ბი დე-  
ხუქე. ა ი ამის წინ წარსლვა დღეის ზდა ჩი-  
ტის სადამცხრალი და ნება-დამხსენი.

გაი არსებითად უმოქმედო და ჰახსენდა  
დედალსაც ახასიათებს ინერციული ხე აღარ  
იჯდა.. ნმა მას ზურგი უჩვენა. ტოტს  
და უძრატუსტრას ენით ნიცუე დაწვრ თითქოს  
მისთვის ახს იწვევდა და ზიზლით აა. დიდ-  
ხან ვუშებრანზობი ხართოა კა. ჯყო. მზე ჩაე-  
სენა. დაღამდა. ჩიტი არ ინძრეოდა.

მეცოდებოდა. თან მაკვირვებდა მისი საქ-  
ციელი. ვათენდა თუ არა, მაშინათვე ჩიტი  
გამახსენდა. შევხვდე ტოტს. ჩიტი იქვე იჯდა  
იმავე მდგომარეობაში, უძრავად, თაფაქინ-  
დრული.

ნეტავ, როდემდის უნდა იჯდეს ასე, ნუ-  
თუ არც საქმელი ახსოვს, აღარც სასმელი?  
ამგვარ ფიქრებში ვიყავი გართული, რო-  
დესაც ჩიტი შეინძრა და ტყვიასავით ძირს  
წამოვიდა.

მე გაევექანე იმისაკენ. ის გულაღმა ეგლო  
თვალბ-დაახუჭული და ნისკარტში სისხლი წა-  
მოსდგომოდა.

საბრალოს ჯავრისა და მწუხარებისავან  
გული ვაჰხეთქოდა....

ბევრმა ხანმა განვლო მას შემდეგ, მაგ-  
რამ ეს სურათი დღესაც ცოცხლად მიდგია  
თვალწინ...

რატომ მეც ჩიტად არ დავიბადე!

*ვ. კეძელი*

# ა მ კ ლ უ ა

(იხ. „თეატრი და ცხოვრება“ № 7)

ყოველ ადამიანს აქვს ესრეთ წოდებული  
ტემპერამენტი. ამ საზომს, თვით ბუნებისგან მო-  
ნიქებული, ვერ გადასცდება იგი ვეროდეს. ამ  
მის ტემპერამენტში კი მარხია სათავისო ახალ-



ვაზლობაც, სიბებრეც, სიღინჯეც, სიმარდეც და სხვ. როგორც ტრალიკული თვისებისა ვგრძევე კომიკურის. რაღა თქმა უნდა ზოგს უფრო გამოცხადებულად ახლავს ეს თვისებანი, ზოგს უფრო შენელებულად. ყურმახვრილი და გრძობა-სკევიტი რეჟისორის ხელში ესეთი მღღღარო მასია აღამიანის თვისებისა თავის დღეში ჰრ დაიკარგება, თავის დღეში არ დაიჩრდილებს. ამიტომაც ის არ გაჰყვება ცუდათ გაკვალის ძველს ბილიკს ამპლუსას, რომელსაც ბევრი უსამართლობა მოსდევს ხოლმე, არამედ შეურჩევს მსახიობის ტემპერამენტს სამისო ხასიათის როლს და მას ასაკულობებს ბევრად უფრო მარჯვეთ და მორგებულად, ვიდრე ამპლუსის დაცვით.

ეს ტემპერამენტის საკითხი, ჩემის ფიქრით, დიდი ხანია გადასჭრა მოსკოვის სამხატვრო თეატრმა და, როგორც ხედავთ, არც შემოდგოა. თქვენ იქ ნახავთ, რომ კანალოვა დღეს თუ ჩეხოვის «ალუბლის ბაღში» სტუდენტს თამაშობს, ხვალ იულიოს კეისრის აღმასრულებელია და თუ სტანისლავსკი „კეისრში“ ბრუტოსი იყო, ხვალ „ალუბლის ბაღში“ შეუდარებელი გაფიქრა. როგორც მოგეხსენებათ ეს როლები ძველი ამპლუსის მიხედვით სულ სხვა და სხვა დარგისანი არიან. მაგრამ ამითიც მტკიცდება, რომ საქმე ტემპერამენტი ყოფილა ე. ი. ის რეალური ძალა, რომელიც ყოველ აღამიანს შესდგამს, მაშასადამე მსახიობსაც და არა ამპლუსა, რომელსაც დღეს მაინც რეალური ნიადაგი არა აქვს და მხოლოდ ძველი კლონების ნარჩენია.

ამპლუსის ცუდი და მავნებელი მხარე კი ის არის და იმიტომ უნდა გავილაშქროთ მის წინააღმდეგ, რომ იგი იდეურათაც აფერხებს მსახიობს და კომერციულადაც.

ვთქვათ ვინმე „მოარზივე ამპლუსის“ არის. შეიძლება კომერციულად უზრუნველყოფილია, მაგრამ მხატვრულად იგი ერთ წერტილზე იყინება, ძვალდება მხოლოდ ერთ ჩარჩოში, მისი ნიჭი ფრთას ვერა შლის და უკვე ერთჯერვე გამოკვერილი მიხვრა-მოხვრა, თავის გადგება, თვალების მონახვა, როგორც მას, ისე საზოგადოებას აბეზრებს თავს. იმავე დროს კი ტემპერამენტს რომ მიჰყოლოდა ესეთი მსახიობი, რა დიდი სარბიელი იყო მის წინ გადაშლილი, რა ვრცელი ასპარეზი მხატვრულ შემო-

ქმედებისა. ასე, რომ ამპლუსის ფარგალში მომწყვდევა ერთ-გვარ მხატვრულ სიკვდილსაც კი ჰგავს. ამიტომ იყო, რომ სცენის დიდი მხატვრები (როსსი, სარა ბერნარი, შეკსპირი, აბაშვიძე, ალექსი-მესხიშვილი) ამპლუსის სრული ბატონობის დროსაც კი არ კმაყოფილებდნენ მხოლოდ ერთ-გვარი ხასიათის როლებით და მათი მხატვრული ალღო სხვადა-სხვა საუცხოვო ტიპებს ვეხატავდა.

მეორე მხრით კი იღვეთ რომელიც გინდათ სხვა ამპლუსა. ის მოვალეა მხოლოდ განსაზღვრული დარგის როლები შესარულოს და სხვა არა-რა. აქაც მხატვრული სიკვდილი. ამას კიდევ უნდა მიუმატოთ კომერციული დაზარალობაც პირველთან შედარებით. მერმე რათ უნდა ხდებოდეს ესე? ხელოვნების საუცხოვო, თავისუფალ ტაძარში დაზარალობას რა ხელი უნდა ჰქონდეს? არა. «მეცით ნიჭსა გზა ფართო!» ტყუილად არ არის ეს სიტყვები ნათქვამი და სად უფრო უნდა მძლავრად გაისმოლოს ეს სიტყვები თუ არ აქ, ჩვენს სამლოცველოში?

ნუ დაიჩაგრება ნურავინ ნურც მხატვრულად, ნურც კომერციულად. ნუ მიეცემა პირველობა ნურავის ამპლუსის მიხედვით, მიეცეს ღირსებისამებრ. ნიჭი და უნარი, ანუ ჩემის თეორიით გამწესადებული ტემპერამენტი თავს არ დამალავს. ეს იქმნება უფრო სამართლიანი, რადგან შეხამებულ იქმნება თვით ბუნების მძლავრ და გარდუვალ კანონებთან და არა იმ წესებთან, რომელმაც დრო მოჰპაჰა და რომელიც მხოლოდ უსამართლობასა ჰპაძებს.

მართალია, სხვაგან, მოწინავე ქვეყნებში ჯერ მთლად არ მოსპობილა ამპლუსის ბატონობა, მაშასადამე ჩვენ ქართულ სცენის მუშაკებს საიდან შეგვიძლია ერთის მოსმით დავგმოთ ტრალიკია. მაგრამ რატომ არ შეიძლება გავითვალისწინოთ, აქწონ-დავწონოთ ჩვენს თქმული ვარემოებანი და ახლავ შევეცადოთ ჩვენშიაც უკეთესის დანერგვას.

რუსეთის ახლანდელ მსახიობთა ყრილობას, სხვათა შორის, დიდი შეხლა-შემოხლა აქვთ ამ საკითხზეც და რა დაშავდება, რომ ჩვენ ყველამ ვიზრუნოთ ამის შესახებაც. ყველამ—მოანტრეპრენიორე დრამატ. საზოგადოება რეჟისორებმა და მსახიობებმა.

შალვა დადიანი

## „შენ არა გტირი!“

გოდება ქართველის დედისა.

(თანამედროვე მოწინავე მამა-კაცს)

შენ არა გტირი! იმიტომ რომ შენ—შენ აღარ ხარ. თუმც არც მომკვდარხარ, მხოლოდ გარდიქმენ, გაილესე უკუღმართი ცხოვრებისა მღვრიე ტალღებში...

მაგრამ ესტირი კი, დღე მუდამ ესტირი, გზათ მიმავალიც მწარედ მივსტირი—მხოლოდ იმას კი, შენ რომ იყავი!

არსად გინახავს, ან არ გქონია ბრწყინვალე თვლებით მოქედელი ძვირფასი ნივთი, ხმარებაში რომ ხან-გამოშვებით ამოვარდება ხან ერთი თვალი, ხან მეორე და ასე ბოლოს რომ ხელში შეგრჩება უბრწყინვალო, დაყურსებული ჩონჩხი ოქროსი, რომელსაც მხოლოდ დაკვირვებით და თუ შეამჩნევ გადაცვეთილ მხატვრულ სევადას, გამოცდილებით თუ და მიხედვით ყოფილ მშვენიერებს?!

ესევე სწორედ შენც შეგეცვალა სახიერება: ბრწყინვალე თვლები—ეს სული შენი თანდათანობით მოიკცა ბნელმა და დაჰკარგა მან თვის ანკარა, ცრემლის მზგავსი სპეტაკი ფერი და დარჩა მხოლოდ ოქროს ჩონჩხისა მინავგარი სხეული შენი. აი, მას ესტირი, იმა შეცვლილსა, იმა გარდაქმნილს არსებას შენსა.

სად არს ის გმირი, ჩემი ღვთაება, ოცნება ჩემი, რომელს ველტვოდი, რომლის ძლიერ სულს ვევემონებოდი ბორკილ დაყარილი? რომელსაც უნდა გამოეხსნა დამონებული ჩემი მშობელი და ასეთს იმის დიდებული მოვალეობის აღსრულების დროს, მისი ქრილობის—სულიერის თუ ხორციელის—მალამოდ ყოფნას მთლად შეესწირავდი ჩემსა სიკაცხლეს, ვანაცვალედი მებრძოლის მეკრძალსა! მწაფს ვემსახურო ჩემს დატანჯულს, გვემულსა დედას, მსხვერპლად დავედო, კვლევტარად ვარს შემოვადნე მის წმიდა სულსა, მაგრამ სად ვნახო სამსხვერპლოის ღირსი ქურუმი, ვის კურთხეული, მარჯვე ხელი მისცემს მას ცეცხლსა?!

ის აღარ არის, არა და არა! დიდი ხანია, რაც გარდიქმნა, გაიღესა უკუღმართი ცხოვრებისა მღვრიე ტალღებში...

გაი მე ბედკრულს იმა გარდაქმნის მასში მომსწრესა და მასთან ერთად რწმენა დაკარგულს, იმედ-წარწყმედილს და მოსპობილს! მთლად წარმეხოცა ის სასოება, რაცა მამლევდა ამა სოფლად მიზანს ცხოვრების, ბრძოლისა ძალას და დავრჩი ობლად.

მარტო ვარ, მარტო! ოჰ, ნეტავი თუ შეედრება რამე იმ ტანჯვას, როდეს განიცდი სულის ოპლობას, ეთხოვები შენს ოცნებას ტკიბილს!

მარტო ვარ, მარტო, ყოვლად უძლიერი და დავრდომილი! ჩაღად არ მიღირს ეს სიკაცხლე გაწამებული და ნუთუ ამას ცოდობ მიმიღებს ან ზენაესი ან მიწერი, რომ ვერ შევეუძლო სასომხილმა იმ ჩემი კერპის დამსხვრევასა, რომლის მოლოდინს, რომელზე ლოცვას შევალეი უწმიდესი ჩემი გრძობანი—და სამუდამოთ დავიდუმო ეს გული ჩემი დაწყლულებული?

არა მგონია, იმიტომ, რომ ცოდვა არ არის მოსვენოს ტანჯულმა სულმა!

მაგრამ ეს მითხარ, სად არის ძალა თავის მოსპობის? ის არის ხვედრი ან დიად პირის, ან სულ მსუბუქის, და პირველ ხარისხს მოკლებული, ვირჩევდი მდარეს, ოლონდ მოეცა საშვალება, რომ დამცბრომოდა ეს დველფი გულში, აღარა ვგრძნო არსებას ჩემსა და აქ უმაქნისი სხეული ჩემი საფლავის ირგვლივ აღმოცენებულ ყვაილთ ხომ მაინც ასახრლოვებია!

მაგრამ ეს ბედი მაშ რის ბედია, უზენაესად მოპოქებული, რომ არ აღსრულდეს შუბლს-წანაწერი! და აი ვიხედი მეც ჩემსწილხლომილს უწყალო ბედსა, ვინაც გარდიქმნა, შემეცვალა სულის ჩამდგმელი თავი შენი, ის ჩემი ყველა!

მარტო ვარ, მარტო! ოჰ, ბედო, შევბედო, სირცხვილი შენდა! იცი, მუხთალო, რა ჩაიღინე! ნუ კი გგონია იმითი, რომ გრძობასა წმიდას თვით ჯოჯოხეთის სატანჯველსა ამა ქვეყნადვე განაცდევინებ, არა! იმითი, რომ შენ მოჰკალი აღამიანში—აღამიანი! რასა მიქვიან სამთვარიოსებრ აღსრულება ყოველდღიური მოთხოვნილების: სული ერთს თხოვს, ხორცი მეორეს და ეს პირველი მანქანისებურ ემორჩილება მეორის სურვილს ბუნების კა-

ნონს. ძალა კი კედება, ძალა მომქმედი, ვინა-  
 იდანა მას არა ჰყავს მისი მუდმივი გამღვი-  
 ბელი. გაჰქრა ის რწმენა, ადამიანსა, რომ მე-  
 გონა ერთს მთას დაეძრავდი მეორისა შესა-  
 ჯახებლად, ოღონდ მყოლოდი თვალ-წინ  
 დამდვარი, თვით არ შესაძლოს შესაძლოდ ყო-  
 ფის, — როგორც მსურველი! მიტომ რომ ჩემსგან  
 დასახული ის გმირი იყავ, რომელს ელოდა  
 ჩაგრული ერთი და რომელსაცა უნდა დაგეც-  
 ხრო მრავალნაირი ჭრილობა მისი.

რადა ხარ, რადა ეგ უმოქმედო! რა ჯა-  
 დომ შეგკრა? რა ბნელმა ძალამ დაგიმონა და  
 დაგიხშო მშობლის ბედისთვის მუდამ მზრუნა-  
 ვი ნათელი შუბლი? რამ შეგიბოქვა, დაგიუძ-  
 ლურა მის დაფარვისთვის მუდამ მზად მქონი  
 ძლიერი მკლავი? აბა, შეხედე, მიმოიხედე შენს  
 გარემუმო, რა კენესა ისმის! საცოდავობის  
 ამის გამგონი, მტერი რა არის, ისიც მოღბე-  
 ბა! იცი, ვინ სტირის, ვინა ჰგოდებს აწმყოზე  
 და უფრო კიდევ მომავლისთვის? ის შენი  
 ზაქრო! აი ის ზაქრო, მის სივაჟაკე, მისი  
 მხარბეჭი, მისი მახვილი, გამკრიახი გონება  
 რომ ალტაცებაში მოგიყვანდა და მის სისრუ-  
 ლით გატაცებული — აღთქმას უღებდი მის მო-  
 მავალის საუკეთესოდ შეცვლისათვის თავიც  
 დაგელო! ახლაკი სტოეგებ იმ ბედ-შეგას, ბნე-  
 ლით მოკულსა, გათახსირებულს, ნიადაგიდან  
 დაძრულსა და უფსკრულზე მისულს და ე მეგ  
 შენი გასაოცარი, საარაკო გულ-ციგობით,  
 მთლიად მოშვებული შენის არსებით, ლამის  
 თითონევე ჰქრა მას ხელი და შიგ გადუშევა,  
 არას დაემბ!

და ის კი მოსთქვამს, შეველას გიძახის  
 მხსნელად დასახულს და არ კი უწყის იმ უბე-  
 ლურბა, რომ დიდი ხანია მას უღალატე!

საბრალო ზაქრო! მესმის მე, ძმაო, შენი  
 კენესა და შენი გოდება! მესმის და მწვდება  
 ღრმად არსებაში, თვისი სიმწარით მთლიად მი-  
 წიწყნის და მიღარავს გულს გაწამებულს, რა  
 თვალთ მეწვლება საზარელი მომავალი შენის  
 ცხოვრების, მაგრამ... რა გიყო? აბა, რა ძალ-  
 მიძის, მე უბედურს, ჩემის ობლობით დაუძლუ-  
 რებულს სუსტსა არსებას? აღარაფერი, არა და  
 არა! ოჰ, მარტო ვარ, მარტო, ფრთებ-შეკვე-  
 ცილი! აი, რას ესტირი! შენ არა გტირი! იმი  
 ტომ, რომ შენ — შენ აღარ ხარ. თუმც არც  
 მომკვდარხარ, მხოლოდ გარდობქმენ, გაილესე  
 ცხოვრებისა მღვრიე ტალღებში...

ნინო ყიფიანისა

## ხმა ბუნებისა

(ქედღენი ოლ-ოლს)

ზამთარია. ჰყინავს. თოვლი თეთრ საბ-  
 ნად ეფენება აკანკალებულ დედა-მიწას. წყლე-  
 ბი გაყინულა. 8 წლის ბავში, თბილად ჩაც-  
 მული, მზიარული დაკურავს ყინულზე უში-  
 შრად.

— ნუ თუ არ გეშინიან დაკემისა, ჰა-  
 წიავ? — ეკითხება მზახველი.

— სრულიადაც არა! მე მეფარველობს  
 თვით ძლიერი ზამთარი, რადგან იგი მეგო-  
 ბარია გულადებისა! — უპასუხებს ლოყებ-წამო-  
 წითლებული ბავშვი...

გაზაფხუხულია. ბუნება იფშენეტს თვა-  
 ლებს, იღვიძებს; იბანს ნამძინარეე პირს  
 გრილ შხაპუნა წვიმით და ირთება მზიარულს  
 მწვანე სამოსელში; ჰკაზმავს თავის თბილ კალ-  
 თებს ლამაზ, სურნელოვან ყვავილებით და  
 ებატეება მომღერლებს გასართობად; ესენიც  
 ასხავენ მას ქება-დიდებას. მღერის მთელი დღე  
 8 წლის ბავშვიც.

— ნუ თუ არ დაგელაა ხმა, შეილო,  
 ამდენი სიმღერისაგან-ეკითხება მობეზრებული  
 მშობელი.

— სრულიადაც არა! მე როდი ვმღერის;  
 მღერის ჩემი გული გაზაფხულთან ერთად...

ზაფხულია. მზიანი დღეა. ქარი, ხანგრ-  
 ძლივ შრომით მოწყვეტილი, მისცემია მოსვენ-  
 ნებას. ზღვის ნაპირზე ქვიშა გახურებულია და  
 უწყალოდ იკბინება. მასზე გორაობს მთლიად  
 ტიტველი 8 წლის ბიჭი.

— ნუ თუ არ გტყვენიან ადამიანისა,  
 მაგოდენა ბიჭი ხარ? — ეკითხება შემთხვევით  
 გამგელო.

— სრულიადაც არა! ვეთამაშები მზის  
 სხივებს; ისინიც ხომ ტიტველები არიან! — უპა-  
 სუხებს ბავშვი.

გაოცებული ადამიანი ჰშორდებქ მხრე-  
 ბის წვეით...

შემოდგომაა. ცა უნუგეშოდ სტირის.  
 მზეს სთვლიენ. ბავშვს ძილის დედა დასწოლია.  
 დროზედ ვერ იღვიძებს სამუშაოდ.

— ნუ თუ ესლავე ზანტობ, ბიჭო! —  
 მიჰმართავს მას დედა.

— სრულიადაც არა! თუ კი ბუნებაც  
 ესლა ძილის ფიქრშია, ადამიანი რადაა? —  
 უპასუხებს ბავშვი...

ოხ, ადამიანო! როგორ არ გესმის, რომ  
 არაა ჯერ ჩაკლული ბავშვში ბუნებრივი  
 გრძობანი? დღე. კილოხანიძე



მისი იმპ. უმაღ. დ. მ. კონსტანტინე კონსტანტინეს ძე (კ. რ.)

ავტორი ზიკსის „მეუფე ურიათა“, იოსებ არიმათელის რაფაში.

# მ ე უ ფ ე უ რ ი ა თ ა

დრამა ოთხ მოქმედებად და ხუთ სურათად, ძ. რ-სა, თარგ. კ. მესხის-მიურ.

## მომხმედნი პირნი:

პონტოელი პილატე, კეისრის მოადგილე ურიასტანში.

ფროქულოზი, ამისი მეუღლე.

იოსებ არიმათიელი } სინედრიონის წევრი.  
ნიკოდიმოსი }

იოანა, მეუღლე იროდის ეზოს მოძღვრისა.

რომაელი ჯარის უფროსი.

პირველი ლეგეონის ტრიბუნი.

მეორე ლეგეონის ტრიბუნი.

ასისტავი.

ხალუკეველი.

- 1 } ფარისეველნი.
- 2 }
- 3 }
- 4 }

სიმონ კვრინელი, იოსების მებალე.

ალექსანდრე } ამისი შვილები.  
როფე }

ლია, ურიასტანელი, მხევალი ფროქულოზისა.

ბარტიმეოზი, სოფელი.

იოხების მოსამსახურე.

გზირის ხმა.

ლევიტის ხმა.

ხალხი ორივე სქესისა; ნელ საცხებელის მტარებელნი; ყვავილების გამყიდველნი ახალგაზდა ქალნი; ასურეთის მხევალნი და ყმანი; მოცეკვავენი უსიტყვოდ: მხედარნი; ყმანი.

მოქმედება იერუსალიმში ვნების კვირის განმავლობაში—ქრისტე-მსსნელის აღდგომაჲდკე.




### მოქმედება პირველი

ქალაქის კედელთან; თავისი ზედ-კომუგებით მიდის მარცხნივ სიღრმეში. პირველ პლანზე დიდი კარგებია; კარების ზევითა თავი მოსჩანს, ძირი-კი სცენის ქვეშ იმალება. გზა ჯერ არ მოსჩანს, მაგრამ თანდათან მაღლდება და სცენის იატაკს უსწორდება სცენის შუა-ადგილის ცოტათი მარჯვნივ. აქ გზა უხვევს მარცხნივ და სულ ზევით-ზევით მიდის ვიწრო გასასვლელამდე, რომელიც უკანა პლანზე სიღრმეშია მოთავსებული. აქედან გზა ერთბაშად მოუხვევს მარცხნივ და სცენის სიღრმეში მიდის რამის პირდაპირ—ქალაქის კედელამდე და გაუვლის რამდენიმე სხვადასხვა სავაჭრო ღუგუნებს, რომელნიც ჰფარავენ მარცხნივ სიღრმის იქით სანახაობას. ფარდის ახლანე ღუგუნის ბანები სასევა ხალხითა. მარცხნივ ფართო ზეთის-ხილის ზეა, რომლის

შტოების ძირში ორი კაცი თავს შეიფარავს. ამ ხის ძირში თითქმის ზეზრდია დიდი ქვა, რომელსაც ხმარებენ დასაჯდომად... აქედანვე ზევით მარცხნივ მიდის ვიწრო კიბე, რომელიც უერთდება ზევით მიმავალ გზას. მარჯვნივ ქვისა არის წყარო. ამის პირდაპირ, მარჯვნივ. ასისთავისა და მის მხედრების სადგომია. ეს სადგომი უერთდება შენობას, რომელშიაც ზემოდ მოხსენებული ვიწრო გასასვლელია. ამ შენობების გასწვრივ რამდენიმე საროს (ალვის) ზეა ჩარგული მარჯვნივ ავანსცენაზე კუთხეში ქვის სკამ-ლოგინია. სალამო ხანია. ფარდის ახლანე მოისმის ალტაცებული გუგუნი და ხალხის ხმაურობა.

### გამოსვლა პირველი

სცენა სასევა ხალხითა. ბევრს ბზისა და ზეთის-ხილის შტოები და ყვავილები უჭერია ხელში. გზა, რომელიც



მ. ბ. ბ.

მელიც მოსჩანს ვიწრო გასასვლელთან, მოფენილია ვარდებით, მწვანეულობით და ზემა მოსასხმელებით. სცენის გარედამ მოისმის ყვირილი, თანდათან ეს ყვირილი გადიკტევა საერთო სიხარულის გუგუნად და აგერ-ეგერ გამოისმის ცალ-ცალკე წამოხანობა.

მშვიდობა ცათა ზედა და დიდება მაღალთა შინა!—  
ვინ არის ეგე?

**პირველი** (საქნადას). ოსანა ძესა დავითისასა!  
**მეორე**. ოსანა! კურთხეულ იყოს იგი მომავალი სახელითა უფლისათა!  
**პირველი**. ოსანა! რომელი ხარ მაღალთა შინა!  
**მეორე** კურთხეულ იყოს მეუფე ჩენი!  
**პირველი**. მშვიდობა ცათა შინა, დიდება, მაღალთა შინა.  
**მეორე** კურთხეულ არს მომავალი მეუფე სახელითა უფლისათა!

**მესამე**.  
**პირვ.** გალილეველი!  
**მეორე**. მოციქული...  
**პირვ.** ნახარეთიდან მოვალს იესო, დიდი მოძღვარი!  
**პირვ. ქალ.** აი ხომ ზედაეთ... იმისი კიკვის ფეხის კვალია...  
**მეორ. ქალ.** მე დავუფენი... ზედ გადიარა!  
**პირვ. ქალ.** მომეც მანდილი ეგე სახსოვრად!  
**მეორ. ქალ.** ოჰ, არა, არა... თვით შევინახე... მოციქულისა სახსოვრად ამას!!!  
(ეკაჟინი თანდათან წყნარდება)



**სადუჯ.** მატყუარაა იგი და გჯერათ:  
კეისრის უღლის მოგლეჯა შესძლოს  
ამ მათხოვარმა და ხელთ მოიგდოს  
დავითის ტახტი?

**ბარტიმეოს.** არა ყოფილა  
დავითი მეფეც ხარისხოვანი:  
გუშინის მწყემსი — დღეს მეფედ ოქცა.

**პირ. ფარის.** ოჰ, საზიზარო!.. ამ მაწანწალას  
შენ მეფე დავითს განა ადარებ?!

**მეორე.** ის გაცოფებულთ სიტყვით ამწვიდებს!

**პირვ.** იგი კეთროვანთ ჰკურნავს სრულიად!

**მეორე.** მოძღვარმა შესძლო მკვდრებით აღდგენა!

**სადუჯ.** ეგ დედა-კაცთა მოჭორილია...  
სასწაული მხოლოდ სულელთა სწამთ..

**პირ. ქალ.** მაშარ ვერწმუნოთ, როს ბრმად შობილს  
საჯაროდ თვალნი მან აღუხილნა?

**მეორ. ქალ.** ჰბუბუკი ვინმე — დედისა ერა  
სიკვდილს ხელიდამ მან გამოპვლიჯა!!

**პირე.** და იაირის სინაგოგისა  
უფროსის ქალი ხომ აღადგინა  
სარტყელიდან?!

**მეორ. ფარის.** მოძღვარი თქვენი მატყუარაა!..  
არც მოციქული, არც დავითის ძე!  
(აღვსენბუფი ხაღხი აზიარაბს მისეგას)

**ბართიმეოს.** ეგ შეურაცხყოფს ჩვენს დიდებას!

**პირვ.** ჰსურს მოციქული მან შევიგებდარლოს.

**მეორ. ფარის.** დაჩუმდი ახლაე! ვინ მოგცათ ნება  
მის უწოდებდეთ თქვენ მოციქულად?

**პირ. ფარის.** არა არს იგი უფლისაგანა...  
ცრუ-მოციქული და ცრუ-მოძღვარი.

**პირვ.** როგორა ბედავ ზე წარმოგზავნილს  
გვრე უწოდო?

**პირ. ფირის.** შენ როგორ ბედავ  
წარმოგზავნილი უწოდო იმას?!

**მეორე.** სამარიელო!

**პირველი.** ქოფაკო ძაღლო!

**მეორე.** ვასწით შორს ჩვენგან!

**მესამე.** შორს უწმინდურნო!!

**პირ. ფარის.** იქით!!

**პირველი** ქვებით ჩავქოლოთ ესენი!!

**სადუჯევ.** (მორბის ჭარის სადგომთან) აქეთკენ!

**მეორ. ფარის.** ჩქარა მოგვეშველენით!  
(ხაღხი მუქარით ქუებს დასწვება)

**ბამოსვლა მითრე**

შემოვლენ ახისთავი და რამდენიმე მხედარი.

**ახისთავი.** რა ყვირილია?!

**სადუჯევ.** კეთილშობილო  
მეომარო! ჩვენ ვერ ვუვრიგდებით  
ამ შავ ხალხის აზრს. ამათ სწადიანთ,  
მაწანწალა, გლახაკი ვინმე  
თავიანთ მეფედ გამოაცხადონ!

ჩვენ კი გვრწამს მხოლოდ ერთი ხელმწიფე  
**პირ. ფარის.** მეუფე ჩვენი და თქვენიც ერთად!  
**მეორ. ფარის.** დღეგრძელი იყოს ტიბერიოსი.  
**პირ. ფარის.** ყოვლად დიდება ჩვენსა კეისარს!!

**ბარტიმეოს** ოჰ! პირ-მოთენო!..

**პირველი.** მლიქვნელნო ენით!!

**მეორე.** მზად ხართ გაპყიდოთ ერი და ხალხიც;  
ოლონდ თქვენ თბილად მოითბანუროთ!

(ხაღხი დრტყინავს)

**ახისთავი.** შიში არა აქვს ჩვენს კეისარსა  
ვილატ ქადაგის! აქ ყოველ-დღე  
შფოთი და ჩხუბი მგყესეულად გაქვსთ.  
დღეს კიდევ არ იქნა ასტეხეთ ხალხი  
მოციქულსა ცუდათ ხსენებით!  
გიჯობთ წახვიდეთ... აქაურობას  
განშორდეთ სრულად!

(სადუჯევს და ფარისევეს გავლენს)

**ბამოსვლა მესამე**

**ახისთავი** (ხაღხს). დაწყნარდით თქვენცა!  
ვისაც-კი ხელში ქვა დაუნახათ,  
მეის წაათრიეთ საპყრობილენში!  
(გადის, მსედაწინ რამდენიმე კაცს გაიყვანს. აურ-  
ხაურა მოისმის)

**ბამოსვლა მეოთხე**

**პირველი** (ხაღხიდან). ძალ-მიმორენო!

**მეორე.** და ავო-ბოროტნო!

**მესამე.** ჯალათნო! განა დიდხანს გვედგმის  
მძიმე უღელი რომაელების?!

**პირველი.** მესიამ გვიხსნას ურჯულთაგან!

**პირ. ქალ.** მეუფედ გახდეს ნაზარეველი  
და ყველას გვიხსნის!

**მეორე.** მოვესწრობით-კი?

(სტენს ცარეაღება. ბართიმეოსი მარტნივ გადის.  
მზე ჩადს — არე-მარეს მოეფინება ოქროს ფერი  
სინათლე. გამოდინ იოსებ და ნიკოლაიმოსი)

კ. მესხი

(შემდეგი იქნება)



მწერალი ევ. ნინოშვილი

(გარდაცვალებიდან 20 წ. შესრულების გამო)

## ტანჯულთ მგოსანი

(აქებენდა)

„ხალხის გულის მესაიდუმლის“

ევ. ნინოშვილის ხსოვნას.

1

ცხოვრებდა აღმოსავლეთის ერთ სამთავროში მგოსანი... მგოსანი ერის მოქირანახულე, მგოსანი მესაიდუმლე ღარიბ-ჩაგრულთა... მისი სიტყვა ყველას გულში ზედებოდა—ყველას აღელვებდა, ამიტომ არ მოსწონდა მისი გაბედული ხმა ძლიერთა ამა ქვეყნისას—და მოინდომეს მისი დაღუბვა.

მხოლოდ რამდენიმე ლექსი შეეთხზა ხალხის ქრილობის გასაკურნავად—და ხალხი მის სახელს აღიდებდა, გუნდრუქს უკმევდა...

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს იგი შეიპყრეს. მას მიუსაჯეს მუდმივი ციხე. მას წაართვეს მშობლიური ჳერი, სოუსპეს დღის სინათლე, მოსტაცეს ყოველივეს და ზნელ საკანში, რომელსაც მხოლოდ ჳევიდან ერთი სანათური ჳქონდა, ბინა მიუჩინეს; იქიდან აძლევდენ საქმელ-სამელს, იქიდან სთავაზობდენ მზის სხივების ელვარებას.

ზის ბნელს საკანში მგოსანი და ნაღვლიანად გამღერის თავის ცხოვრების სიღუბჭირეს. ხანდახან აღფრთოვანება გაიტაცებს, ჳსურს კალამს ხელი წამოავლოს და შექმნას რამე.

წარბეცა, მშვენიერი... მაგრამ... სად არის კალამი, მელანი, ეტრატე? ვახსენდება, რომ

იგი საკანში ჳის და ნაღვლიანი ბორკილების ჩხარუნით თივაზე დაეშვება... დაეშვება და სევდიანი ღიღინებს.

2

საპყრობილეს დარაჯს ერთი ასული ჳყავდა, ღამაზი, თვალწარმტაცი, ჳერ სულ იეჭვისმეტი გაზაფხულის ნახარდი... მისი გული ღლი და უღარდელი იყო. მან არ იცოდა სევდა, არ იცოდა ბოღმა... ჳერ კიდევ ფეხშიშველი დახტოდა ყელმოღერილი მინდვრებში და ხან ბატებს მწყემსდა, ხან თხებს.

უღარდელი იყო... უღარდელი. ღიღიდან საღამომდე ჳინ ვერავინ ნახავდა.

ერთხელ გაზაფხულის საღამოს, როცა მინდვრიდან ბატები მოასხა და ნაზი ღიღინით, სახტის ქნევით, ციხის ეზოში მამასთან შევიდა, რაღაც სევდიანი ხმა მოესმა...

ღიღი ხნის ძებნის შემდეგ, ფეხაკრევით იმ ადგილს მიუახლოვდა, საიდანაც მწყუხარე ჳანგი ისმოდა.

დაუკვირდა. ყური მიუგღო. რაღაც უჩვევი გაიგონა.

ეს დატყვევებული მგოსნის ხმა იყო, რომელიც თავის ცხოვრებას ნელი ხმით დაჳკენსოდა...

ასული ქვავდება... უსმენს და თვლებიდან მარგალიტი ცრემლი სწყდება. ჳირველად მის გულში იღვიძებს რაღაც ძალა, რომელიც მას აკრთობს...

იგი ღიღი ხნის შემდეგ შორდება მომჯადოებელ ადგილს, რადგან შეწყდა მგოსნის ხმა... შორდება, მაგრამ ოცნებით ისევ იქ არის...

გაღიოდა დღეები... ასულმა დაჳკარგა თვისი სიცულე. სულ მგოსნის სევდიანი ხმები ჩაჳრიკრიკებდა ყურში... ჩასწიოდა... და იგიც მთელი დღეები სევდიანი დაფარფატებდა მინდვრებში; საღამოს ჳამს კი ფეხაკრევით მიუახლოვდებოდა საკანს და ჩუმად თვალცრემლიანი ისმენდა დატყვევებულ მგოსნის სევდიან ღიღინს...

3

-- ოხ, რა კარგია, მომცა ორბის ფრთა კალმად, ბატნის ტყავი—ეტრატად, კვიდოს \*) წვენი მელნად, რომ აქ—საკანში შევექნა უცხო

\*) კვიდო—მცენარე.

პოემა, რომელიც სულს შთაბერავს ტანჯულ-გვემულ ხალხს; ასწავლის ძმობა, ერთობა, სიყვარულს. ოხ, რა კარგია...

ასე გამდგროდა ნელის ხმით მგოსანი... ესმა ეს ხმა დარაჯის ასულს და ატოკდა..

რა ქნას? სად იშოვოს ორბის ფრთა, ბატონის ტყავი, კვიდოს წვენი?!

უცებ ფიქრმა შთანთქ... რაღაც მოაგონდა. ასული იზიდა, მიხვდა, რომ სხვერპლია საჭირო... გაიგო, რომ მოსიყვარულე გულს ყოველივე შეუძლია და ღიმილით დაუყუა ქალაქის ვიწრო ქუჩებს...

ღიღახანს იარა... ბოლოს ვიწრო კარები შეაღო და თვალტრემიანი მოხუცი მოგვის წინ დაეცა..

— ჩქარა დამაძინე, მოიტა ბასრი და მთელს ზურგზე ტყავი გადამაძვრე.. იცი, ტყავი გადამაძვრე ფრთხლად, მერე გამოქენი, დაამზადე, რომ საწერ ეტრატად ივარგოს..

გემის?!

მოხუცი კითხვის ნიშნად გადაიქცა...

— ჩქარა, გემის? შესძახა ქალმა... გასამრჯელოდ ის აიღე, რაც შენც თრთოლოვს გვერის... რაც ისე გინდა წამლებისთვის, მაგრამ ვერ გიშოვნია..

მოხუცი უფრო გაშტერდა..

— მე ქალწული ვარ! გემის? მაშ ნულა აყოვნებ! შესძახა ქალმა და ტანსაცმლის ძრობა დაიწყო..

ახლა კი მიხვდა მოგვი, რა ბედნიერება მიადგა კარებზე... ასული ნელა დაიძინა, ბასრით ზურგზე ტყავი გადააძრო... ქალწულის დაღვრილი სისხლი წამლებისთვის უშუშებში მოაკროვა, მერე ჭრილობა შეუხვია, რაღაც შეულოცა...

და როცა მშვენიერ ასულს გამოედვიდა, ტკივილს სრულიად არ გრძობდა; მოგვის დაქნილი ტყავი გამოართვა და საკნისკენ გამოეშურა... გზაზე ბატის ფრთა იპოვა, შინ მივიდა, ბასრი მოიპარა და იმ დროს, როცა მგოსანის უკანასკნელი ჰანგის აკორდი გაისმა, ასულმა სანათურიდან ნივთები საკანში ჩაყარა..

შესწყვიტა მგოსანმა სიმღერა. მის არც კი შეუქმნევია ჩამოყრილი ნივთები, დალილია უკანასკნელად ამოიოხრა და თივაზე მიწვა...

4

დილას, როცა ცხოველმა მზემ ოქროს ფერი სხივთა კონა საკნის სანათურში შეაპარა და იქაურობა მკრთალად გაანათა, მგოსანმა თვალი მოჰკრა რაღაც შეხვეულ ნივთს... მის სიხარულს საზღვარი არ ქონდა, როცა ბასრი, ბატის ფრთა და საკმაო დიდი ეტრატი იპოვა... მაგრამ მელანი სადღაა? ჩაფიქრდა მგოსანი... შუბლი დაესერა... უცებ გაიღიმა, სიხარულით გამოსჭრა კალამი, თეთრი ტყავი მუხლებზე გაიშალა, გულისპირი შეიხსნა და მკერდზე დანის წვერი იჩხვლიტა... ჩაუწო შიგ კალამი და დაიწყო პოემის წერა.— ყველაფერი დააფიქცდა მგოსანს, ყველაფერი. სწერს იგი ვატაკებით თავისი სისხლით ტანჯული ხალხის ყოფაცხოვრებას... სწერს თავის სისხლით. სწერს და ოხვრასთან ღიმიც გაუთამაშებს ხოლმე ტუჩებზე. გადის ღღებები.. აი, პოემა სრულდება. მგოსანი იღიმის.. მაგრამ როცა უკანასკნელი სტრიქონები უნდა დაეთავებია, კალამმა მუქად დაიწყო წერა... მიხვდა იგი, რომ სისხლი გამოეღო, მოიკრიბა ძალა, რამდენიმე წვეთი სისხლი კიდევ გადმოღვარა, მოიპარჯა კალამი და პოემაც დაასრულა... უკანასკნელმა ღიმიმა გაუთამაშა გალოჯრებულ ტუჩებზე... შეახვია ეტრატი,— თივაზე გაწვა, გულზე დაიდვა ძვირფასი განძი და სული დალია...

5

დარაჯის ასული ლანდევით გამოჩნდებოდა ხოლმე მის საკანთან... მიუგდებდა ყურს და ნელი ოხვრა ესმოდა ხოლმე.. ბოლოს ისიც შეწყდა... ვეღარ მოითმინა ასულმა, იშოვა საღალაც ნაგლეჯი ტყავისა, ზედ დააწერა:

„სტრფობამ თექვსმეტი წლის ასულს ზურგზე ტყავი გადაამაძრო და შენ მოგართვა, მგოსანო, რომ ზედ დაგწერა პოემა ჩაგრულ-ტანჯულთა... რას შვრები? თუ დაამთავრე, მომე, ხალხში გავიტან. დაე, ციხიდან ისმინოს შენი ტკილი ხმა მშობელმა ერმა“... ჩაუშვა... უკდის... ჩუჩუნიც არ ისმის. გადის ღღებები... თვეები... დარაჯის ასული დნება... ბოლოს ვეღარ აიტანა ამდენი ლოდინი და დილას მკვლარი იპოვეს...

6

გავიდა ხანი. მონობა და ბატონობა ქვეყნად კიდევ არ იყო მოსაპობილი, რომ დატყვე-

ვებული მგოსანი მოიგონეს. როცა საჯნის კარები გააღეს, იპოვეს მგოსნის ძვლები. გულის ჩონჩხზე კი იღვა „შებვეული ეტრატი... იქვე იპოვეს დარაჯის ასულის წერილი... გახსნეს მგოსნის ეტრატი და წაიკითხეს, ეტრატი ასე იწყებოდა: „მელანი რომ ვერ ვიპოვე, ღიმილი ავიკერ მ.ერლი... შიგ ვუწებ კალამს და ვიწყებ ამ პოემის წერას“...

და ასე თავდებოდა: „დასრულდა... ჩემი სიკოცხლით შევქმენი ეს პოემა. ჩემი სისხლით დავწერე. შიგ მოთხრობილია სიიღუმლოება ტანჯულ-ჩაგრულთა... მოიგონეთ ამის დამწერი, რადგან მან თვისი სისხლით გასწმინდა სვედა გვემული ხალხისა“...

და ჩიანელი



სომეური ღრამ. დასის დამსახურებული მსახიობი

გ. ტერ-დავთიანი

(40 წ. სსსრკ-ის მფლავლობის გამო)

ს ა ს ა ე ლ ა მ ე

(სურათები)

მერთადი შუქი მოვარისა ნათელ-კაემნისა  
შეკდართა უხმო სავანეს მკერდზე გადაჭყდობისა  
და ნიავე ჩურჩულეის საიდუმლო ხმისა...  
ნის ფურცლებს ცვარ-ნამო ცხარეცრემლად სდენია.  
ვდკეპარ უხმო... დატკეპარ შეკდართა ბინ-სადგურს,  
დროთა-სიო მიმღერის ნანისა უნჯურსა...

მწუსარეა ეოველი, მწუსარეა ბუნება,  
გულჩამთხრობი დუმილი ჩემს ფიქრს ესალბუნება...  
იალქანი ბედის ცრემლთა ზღვაში ჰქანას, იფრთა-სსმუღლი იტუნება ფიქრთა ზღვაში ჰქანას.

იქ ვინ არის ნაქვის ქვეშ თმაგშლილი, მტრადი, ღოდს რომ დაშტურებო, სუგლით კამომზადალი? — „შეშლილია, სხრადლი, ბუღით განაწირალი, ამ დროს სსსაფლავზე მარად დასწვის მტრადლი!“ რა სიტყვა, რა სიტყვა ნიავე, იგი შეშლილს არა ჰტავს, ცრემლი რომ სდის მღუდარე, ნუთუ არ დაგინახავს! გესმის? იმ წუნარს ქვითისში გმინავს ისმის სულისა, სუგლიანი, მწუსარე — გმინავს დაქანცულას.

წელს მკლავებ გაშლილი სსტრფოს მიიწოდებდა, [დებდა!

ტრფობის ფერფელი ხელთ ეჭურა, გულსათუთქი ჰგო... ექ, ვინ იცის, ნიავე! ბედს მუხთადს და ტიადს რადღენი უმანკო მსხვერპლად დაუმონია, აქ მოსულან და სცლიან ნაღვლით სავსე ფიასს, შენ-კი შენთვის სისინებ — სსვა შეშლილი გგონია.

უხმო ღოდებს, აკლამებს დასწლია ანრდილი, დასწლია ანრდილი, შავი, როგორც სიკვადლი. მწუსარეა ეოველი, — მწუსარეა ბუნება. გულჩამთხრობი დუმილი ჩემს ფიქრს ესალბუნება. მწუსარეა ეოველი, როგორც სსტრფო ობოლი, შემოდგომის ფოთოლი, — როგორც სსტრფო ობოლი. იალქანი ბედის ცრემლთა ზღვაში ჰქანას, იფრთა-სსმუღლი იტუნება ფიქრთა ზღვაში ჰქანას...

3. მწუსარიშვილი



გ ა მ ა ე ხ უ ლ ი

გადამხმარი მიდამო გამოცოცხლდა. გაზაფხულის საამო და სანეტარო სიომ დაჰპერა. ამოქმედდა მიწა, მცენარეებში სიკოცხლის ნაკადული ჩისახა. ამწვან-აბიზინდა მდელი, აქოჩრდა მთები. ტყე-ველ-მიდორი ათასფეროვან ყვავილებით შეიმოსა. ჰავარი საამური სურ-ნელოვანებით გაიფიქრთა. ამეტყველდა ადამიანი, ახმაურდა პირუტყვი, აქაფდა და არაკრაკდა მდინარეები. — უკვე მოფრინდა მერცხალი — გაზაფხულის მახარობელი, მხიარულად მოედვენ მწვანე ფოთლით შემოსილ ტყე-ველს და საამურათ აქიკიკა-აქელურტულდენ ცელქი ჩიტუ-

ნები. ყველგან და ყველაფერში სიცოცხლე ჩაისახა. ფუტკარი საამურად დაბზუნის ყვაველებს და მოწიწებით სწუწის სიტკობებს. ყვავე-ყორანთა ჩხავილი ჩვევულებრივ აღარ ჰწამლავს ადამიანთა სმენას; — თუ სავსებით არ მომკვდარა — ხომ თანდათანობით კვდება მინც შავ-ბნელი ზამთარი, დაღვა გაზაფხული. — გაუმარჯოს გაზაფხულს!

ილია ბახტაძე

### შენ ვერ გაიგებ, ვერ მიხვდები!..

(მელო-დეკლამაციისათვის)

მალა, პატარა გორაკზე, თაე-ჩაქინდრული იჯდა ჩემი იმედი, ჩემი სიცოცხლე, ჩემი სულის დგმა! მე კი იქ ძირს ვიყავ და ალტაცებით მას შევეცქეროდი! ის ჩურჩულით მეუბნებოდა, იცი რას? —

ეს, შენ ვერ გაიგებ, ვერ მიხვდები!

მე მას ვეძახდი, მაგრამ ჩემი მას არ ესმოდა; მის გულის ბასუსს მე კარგად ვგრძობდი! იცი იმის კენესით მე რასა ვგრძობდი? —

ეს, შენ ვერ გაიგებ, ვერ მიხვდები!


იქ არე-მარე ოღნავ ნათელს იფენდა და მე კი ძირს ბნელში ვიყავ გაფთორებული! ვეხვეწებოდი, ვევედრებოდი აფხსნა: რა ზომ ნათელი ოღნავ ანათებს-შეთქი? იცი რა მითხრა? —

ეს, შენ ვერ გაიგებ, ვერ მიხვდები!

მე გადავწყვიტე მასთან მისვლა და კიდევ მიველ! მე მეშინოდა, ვკანკალებდი, ხელს ვერ ვახებდი! ის წმინდა იყო, წმინდა ვით ანკარა მთის წყარო! მე მას გამოვივხმარებ. მან თავი აღადგო მაღლა და იცი რა მითხრა? —

ეს, შენ ვერ გაიგებ, ვერ მიხვდები!

იოზა ზარდალიშვილი



## საქართველ მხარალთა წერილები

(მოგონებანი)

IV

ილია ჭავჭავაძე

მესამოცე წლების მოღვაწეობა შექმნიეს სახელი ხანა საქართველოს ცნაურებაში. ამათ გამოაცხადეს დაურადებლად ეროვნული შროგრამა. მამუკმა იტ-



ილია ჭავჭავაძე  
(1837—1907)

ილია ჭავჭავაძე

კაცეს ეს სახელი მიმართულება შეიღებოს. მედროშე ამ სახლის მიმართულებისა იყო სიკვდილამდე ილია ჭავჭავაძე, „ის დაბერდა, ბურთივით მრგვალი“, როგორც მას უწოდა გრ. ორბელიანი. გაჩნდა მამუკმა და შეიღებს შორის ბრძოლა, რომელშიაც უმთავრესად თავი იხიხეს ილიამ და აკაკიმ. „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ ილია ერთხანად გაშორდა თითქო ლიტერატურულს სამსახურს, იგი მომრიგებულ-შუამავლად დანიშნეს დუშეთის მაზრაში, მაგრამ მალე დაბრუნდა ისევ თვის საყვარელ საკანს, კვლავ გაისმა მისი ხმა „ერეკლეში“, რომელშიაც ზედაზედ ისტამბუბოდა მისი ნაწერები. მისი ნაყოფიერი და ძლიერი მამულიშვილური მოღვაწეობა იწყება 1877 წლიდან, როცა მან დაიწყო საკუთარი ორგანო — კვირეული ჟურნალი „ივერია“ და საშემდომად დამკვიდრდა თბილისში სთავად-ზახურთ ბანკის თავმჯდომარედ. ამ დროს ილიას ნივთიერება უზრუნველყოფილად ხელი შეუწყო და სიკვდილამდე მისს დიდებულს კლასს მეღანი არ შემრბათა. იგი მუდამ დარჯი იყო თავისი ეროვნული შროგრამის, დარჯი უმაშინ და თავგამოდებული: არც ერთი საკრო საკითხი არ აღძრულა ჩვენში, რომელ დარგშიც გინდათ, რომ მისი მადლიანი კლასი არ შენებოფოს და თავგამოდებით არ დაეცეს, მაგ. მისი მედგარი იერიში კატოგზე ქართველთა დროშის შესახებ, მისი თუმორით აღსაყუ წერილი „კუტული ქართველთ უღანია“, ანთავსკისთან ბრძოლა, „ქათა დადალი“, „აი ისტორია!“ და სხვ. მრავალი მისი იღვლი იყო მთელი საქართველოს ერთი ეკონომორად გაღონიერება, განურჩევლად წოდებისა. სმარ-



თლიანად დააფასეს ეს დიდებული ღვაწლი ილიასი ჩვენმა სსიქადულმა არ. ჯიჯიძემ: არჩილის თქმით ზოლიტიკური სიმბოლო ილიასი იხატებოდა ერთ-ნულ ცნობების აღმარების სპირიტუაში. ამის ელტვოდა ილია თავის ხსენებზე მოღვაწეობის ჟამს.

ზირადად ილია გავიდა 1877 წ. შემოდგომაზე, როცა „იერიას“ ახანშრომლად გაუხდი. ილიას უყვარდა თავისი თანამშრომლების გაცნობა. მაშინ მე ვუცხანდი ზროვინიანული მეთავერების წყრობებს. ზოტ იოსებ ბაქრაძისთვის ეთქვა, დაიბარე შენი მეგობარი კაცი და გამაცნო. ბაქრაძე შეხვედრიყო ვანო სიმიაშვილს და დავაბრუნის ჩემი თბილიში ვსვლა. როცა დრომ ნება მომცა, ვაისულ დიდებულს მგოსანს. მაშინ ბახვი სოფოლაკის ქაზე ეყო, სდაც ახლა სკუბერნიი სმმართველა. წამიუყვანა იოსებმა. გზაზე სმინელი დეღუა ამივრდა, იოსებმა ღაზარაზე შემტყო. გაუტვლი, რომ ილიას დანახვაზე ენა ჩამივარდებს და რას იფიქრებს, ეს უნო კაცია ჩემი თანამშრომელიო. მეც არ ვიცდი, რად ველევილი... ასე სტოღნია დიდებული კაცის ნახვა-გაცნობას.

გაოვიდა ილია ცაღკე თთაში, სდაც მე და იოსები ვუცდიდით. მისმა ბადრმა სსხემ, ფართო. შუბლმა, სსოგადოდ მისმა სხის მუტრეულებამ ისე გამატვა, რომ დეღუა დამეკარგა და დავაშინდი. მაშინელი ილია უცრო სანახვი ეყო: შავი წვერი, გქელი თმა, კისრამდე ჩამეგებული და შუაზე გაყოფილი, ამეყენება მის ბადრს სსხეს. დაროკებს მომცა, ზროვინიანობა ჩამორჩენილია კულტურულ ცნობრებას, კანთელბას, კაცობა არა გვაეს სოფლად, რომ კათოიციტობიერის იგი. ვეღას თქვევტანს ზროვინიანის ქალაქებში უნდა ჯგუფები შედგინოთ და მი ჯგუფებმა იქმედონო.

— მაინ რამელინი კაცი იქნებოთ გორში? მკითხა ილიამ.

— სმა-ოთხი, მაგრამ თითო-ორელა სოფელში მოიბეგებთან კანთალებული ზირნი, რომელიც მხარს გავდევნ ქალაქებს და შეერთებულის ძლით ვმუშაობთ. ახლა ხალხსოური მოძრაობაა-მეთქი, ვუთხარი მე.

— შრომა სკირთ, შრომა ზაციოსანი!... უნდა ჩაწყოთო ჩვენს ხალხს, ვეღას განურჩევლად წოდების, იშრომან, იშრომან, რომ ეკონომიურად მოდონიერდნენ. დღემდე ჩვენი გლეხობა გავწილი ეყო ბატონეობისკან, დღეს მან თავი დაის-

ნა, მაგრამ მარტო ვერ გასწევს ჭაზას, მას უნდა გლეხს უნდა, გზის ჩვენება და ეს კი ახლა გზადობის საქმეა... მითხრა ილიამ...

ასე მკონას ახლა მეღაზრაკება-მეთქი, ისე ჩამჩხა სსოფნაში ილიას ნლაზარაკევი. ბოლოს მითხრა: ჯგერხობით სსეიდეღს ვერას მოგცემთ ზროვინიანის თანამშრომლებს, გსეითი თავის თავს ვერ იეგებავს, ჩემი ფულით გამოდის, მაგრამ საქმე სომ ასე არ იდონდილებს, დრო მოვა და გაფართოვდება საქმე, მკითხველი განხდება..., ჰო, — მითხრა ბოლოს, — შენი წერილებიდან სხანს, რომ ხალხს კარგად იცნობ, რატომ ზღვის ცნობებიდან მითხრობებს არა სწერ.

— მაქვს, მაგრამ ვერ ვებღავ ჯერ, — რადაც მაქვს.

— სდაც, სდაც! მითხრა და გამოვეთხოვეთ.

*ს. კვიციანი*

(გაბრძელება შემდეგ №-ში)

**ა ჩ რ დ ი ლ ი**

(ტეტიბიერიდან)

ყოველივის თან სდევს აჩრდილი ადამიანს და არას დროს არ სცილდება. არც დლით არც ღამით. ხშირად თვალწინ უდგას ის ადამიანს, მაგრამ ვერ ამჩნევს, როგორც ხშირად ვერ ვამჩნევთ მცენარეს სახლის წინ, რომელშიაც დიდხანს სცხოვრობ, ანუ ვერ ამჩნევ შენს თანამგზავრს, როდესაც ფიქრი სხვა საგანს დაუშინებია.

მაგრამ აჩრდილი ყოველივის იმყოფება ადამიანთან, იმ დროსაც, როდესაც ბავში ხარ და ნახი აღერსით გკონვი დედის მკერდს, როდესაც შეკატრებ სატრფოს მიზნედილ თვალებს და სცილიობ მწველი ცეცხლი ანთომის გულში, იმ დროსაც, როდესაც გასკეპრ გაზაფხულზე ტურფად აბიბინებულ ველს და ფიქრობ: შესაძლოა მომავალ გაზაფხულზე ჩემს საფლავზედაც აბიბინდეს მწვენი მოლიო.

დღისით და ღამით, ყველგან, ყოველივის თან სდევს ადამიანს აჩრდილი, ერთგული ვით მარტობა—და ეს აჩრდილი არის სიკვილი.

მის. ბოქორიშვილი



### წმინდა ანტონის

#### სამსახურის

##### ◆ მწერალ-მოღვაწის ანტონ ფურცელაძის

გარდაცვალებიდან 6 თვის თავი სრულდება 4 მაისს. ამ დროსთვის ხ. კიკინაძე გამოსცემს მისი მოღვაწეობის დამახასიათებელ წერილების კრებულს.

◆ **მგოსანმა ალ. შანშიაშვილმა** გერმანულიდან სთარგნა ჰეტეს „ფუსტი“, ფრანგულიდან როსტანის დრამა „შორეული დედოფალი“. ამჟამად სთარგმნის რებინდრანთ ტაგორეს „სიყვარულის ლექსებს“, რომელიც ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდება.

◆ **ბათუმის დრამ. საზ.ამ** გადასწვიტა მომავალ სეზონისათვისაც იყოლიოს დასი.

◆ **სახალხო თეატრის ისტორია** დასწერა დამსახურებულმა სცენის მოყვარებმა გიორგი ჯაბაურმა. დაიბეჭდება ჩვენს ჟურნალში.

◆ **ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“** იუზა ზარდალიშვილმა თავისი ზარჯით გაუწერა ჩხარის სამკითხველს (და არა საჩხერისას, როგორც შეცდომით იყო მოხსენებული).

◆ **ბელეტრისტი სპირიდონ მცირიშვილი**, ბიკენტი ლომთათიძე—მეორე სათათბიროს წევრად ნამყოფი და ასტრახანს გადასახლებული, ეს მეორე თვეა ავადა.

◆ **ქართ. სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობის** მოსაწვეველ საპირო ნებართვისთვის ქართ. დრამ. საზ-ის გამგეობამ უკვე შუამდგომლობა აღძრა. კრება შესდგება 11 ან 15 მაისს.

◆ **ახალგაზდა მგოსანმა კ. კიკინაძემ** დასწერა ორიგინალური პოემა „რაზი“.

◆ **ფოთის ქალაქის თვით-მართვლობამ** გადასწვიტა აავგოს თეატრი ქალაქის ბალის გვერდით. საპირო თანხა გადაიღო.

◆ **მსახიობი იუზა ზარდალიშვილი** ამ ზამთრისთვის წილდერში აპირებს გამგზავრებას წარმოდგენების გასამართავად.

◆ **მსახიობი ვ. ურუშაძე** ქართულ დასით მისში წარმოდგენების გასამართავად გაემგზავრება შავიზღის ნაპირის დაბა-ქალაქებისკენ.

◆ **ვ. ურუშაძემ** დასწერა ვოდევილი „სახალდათო სტუდენტი“, რომელიც ნებართვის ასაღებად საცენზურო კომიტეტს წარედგინა.

◆ **ახალი თეატრის აშენება ბათუმში** დაუწყვია ბათუმის მფლო თეატრის პატრონს შამუცკისს.

◆ **თავ. ჯორჯაძემ** ფერაღის წამოღებით დახატა დრამატურგის ი. გედევანიშვილის დიდი სურათი.

◆ **მგოსანი ი. ევდოშვილის** სასარგებლოდ მისში გამართება წარმოდგენა.

#### სომხეთა შორის

◆ **საიათნოვას ძეგლს** სომეხ მწიგნობართა საზ-ის თაოსნობით აკურთხებენ მაისის შუა რიცხვებში. ამავე დროსთვის გამოვა მის ლექსთა კრებული.

##### ◆ მსახიობ გ. ტერ-დავითანის 40 წ. სასტუდენტო

ნა მოღვაწეობის-აღსანიშნავად წარმოდგენა გამართება ავღაბარ. კლუბში 30 აპრილს.

#### რუსთა შორის

◆ **დიდი მარხვის წარმოდგენების** აღკრძალვის შესახებ რუსეთში შუამდგომლობა აღუძრავს მოსკოვის მიტროპოლიტი.

◆ **რეჟისორი კ. მარჯანაშვილი** საზამთრო სეზონისთვის მიწვეულია როსტოვის დონში ზარისკაცის დასში.



### ბაქარა გოცმთა კონსერტო

კვირას, 13 აპრილს, ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების დახმარებით. კონსერტანზე მსახიობის დემ. ამირჯანიამ გამართა ჰატარა კონცერტი. ამ კონცერტზედ უკრავდა მასივე სასწავლებლის მოწვეულის ვგუფი. სულ 18 მოწვეუ წარმომადგენის ორგესტრს და დიდი ხსნივ არ აწივს, ანც ივინი ამ საქმის შესწავლას შესდგომან. 9 თავის განმარტობაში ამ მოწვეუთ, რომელთა შორის ბევრა ჰატარც ურუიას, საკმაოდ შეუსწავლიათ ლითონის იარაღებზე დაკვრას და ჩინებულად ასერსებენ ზოგიერთი ძნელი ხმის შესრულებასაც. თუკი ამ მცირე ხნის განმარტობაში სოფელის ჰატარა ბიკუბს შესდეს ამდენი, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ, რამაღენივე წლის ვარჯიშით, ესენი უფრო და უფრო დასწეოფხვებიან.

მათი მასწავლებელი თვითონ კ. მ. ამირჯანი უოფილა და ეს კონცერტიც მასივე ლიტბორბით შესრულეს. ხაღხი ბევრი დაესწრო და ეველიანი კბოფილიანი დაწინენ, საიამოვებით ამხენდენ სოფელის ჰატარა შემუსიკეთა შრომის ნაყოფს. მხუედავად იმისა, რომ დიდხნს და თითქმის შეუხუეებლო უკრავდნენ, ანც ერთს დადლოლობა არ ეტყობოდა.

დიდი მადლობის დირსია თვითონ ბ-ნი ამირჯანი, ავლეუის სასწავლებლის დამასრეული და ჰატარინი, რომ ასეთი საკმაოდ დარგისათვის მოუცეპია უკრავდება და სოფელად, ქალაქზე დასორებულ კუნტულში, შეუტანია ესთეტიური გასართობი, რისთვისაც უოფელი ქართულია მადლობელი დაწინებს.

მეთვალყურე